# საქართველოს მთავრობის სხდომის
# ო ქ მ ი

№ 7 2019 წლის 4 აპრილი

თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მ.ბახტაძე

ესწრებოდნენ:

საქართველოს მთავრობის წევრები: გ.გახარია, ლ.დავითაშვილი, ი.მაჭავარიანი, დ.სერგეენკო, ქ.ციხელაშვილი მ.ცქიტიშვილი, თ.წულუკიანი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ა.დარახველიძე

სამინისტროების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სხვა უწყებების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი თანამდებობის პირები: ზ.აბაშიძე, ბ.ამირანაშვილი, ნ.გელაშვილი, ბ.დოჭვირი, ნ.ენუქიძე, მ.თაბაგარი, ხ.თოთლაძე, ა.თორია, ნ.თურნავა, შ.კერესელიძე, დ.ლომინაშვილი, ნ.მიქელაძე, შ.რეხვიაშვილი, ს.სიჭინავა, ს.სუბარი, ი.ქადაგიშვილი, ნ.ღლონტი, ა.ჯაფარიძე, მ.ჯაფარიძე, გ.ჭოლაძე, ნ.წივწივაძე

I. საქართველოს კანონის პროექტი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ნ. თურნავას და ზ.ჩიხრაძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნ.თურნავა)

---

(მ.ბახტაძე)

1. მოწონებულ იქნეს აღნიშნული კანონპროექტი და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

II. საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ნ. თანდილაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლ.დავითაშვილი)

---

(მ.ბახტაძე)

1. მოწონებულ იქნეს აღნიშნული კანონპროექტი და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.
2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

III. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ნ. მიქელაძის, ი. აბულაძის და ნ. ზედგენიძე-ჯიშკარიანის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლებად დანიშვნის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი ნ.მიქელაძე)

---

(მ.ბახტაძე)

1. მოწონებულ იქნეს აღნიშნული კანონპროექტი და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს განსახილველად.
2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

IV. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მ.ცქიტიშვილი)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

V. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ხელშეწყობისათვის 2019-2021 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ” (მომხსენებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნ.თურნავა)

---

(მ.ბახტაძე)

1. ძირითადად მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (გ.ქობულია) მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ხელმოსაწერად წარმოადგინოს აღნიშნული განკარგულების პროექტის საბოლოო ვარიანტი.

VI. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შესახებ" (მომხსენებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნ.თურნავა)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

VII. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის საჭიროებისთვის ავტობუსების შესაძენად შესაბამისი დაფინანსების მოზიდვის შესახებ" (მომხსენებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი ი.მაჭავარიანი)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

VIII. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის სასესხო შეთანხმების (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი - კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესება) ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" (მომხსენებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი ი.მაჭავარიანი)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

IX. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (მომხსენებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლ.დავითაშვილი)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

X. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლ.დავითაშვილი)

---

(მ.ბახტაძე)

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

XI. საიდუმლო

---

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

XII. საიდუმლო

---

მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

XIII. საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“-ს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის მოწონების შესახებ" (მომხსენებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნ.ენუქიძე)

---

(მ.ბახტაძე)

1. საკითხი დაემატოს საქართველოს მთავრობის სხდომის დღის წესრიგს.
2. მიღებულ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

* * *

- ცნობად იქნეს მიღებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევ-ნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დ.სერგეენკოს ზეპირი ინფორმაცია, რომ სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N61 განკარგულებით მისთვის დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით „მოსახლეობის

მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ (პროგრამული კოდი: 27 02 02) პროგრამის ფარგლებში (484 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), აიყვანს არაუმეტეს 20 სოციალურ მუშაკს;

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის მ.გიორგაძის ინფორმაცია ვარძიის მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების საკითხებთან დაკავშირებით, მიღებულ იქნეს ცნობად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (მ.ბატიაშვილი), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (მ.ცქიტიშვილი), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (გ.ქობულია) და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა რეგიონალურ საკითხებში აღნიშნული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით 10 დღის ვადაში უზრუნველყონ წინადადებების წარმოდგენა.

საქართველოს პრემიერ–მინისტრი მ.ბახტაძე

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციის უფროსის
მოადგილე ა.დარახველიძე